ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6747669

ნომერი: AR1999230

თარიღი : 06.11.2023

გაცემის თარიღი : 07.11.2023

გაცნობის თარიღი : 07.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ტარიელის ქუჩა, N 1, ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 06 ნოემბერს №AR1999230 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებით ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქ. №35/ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ტარიელის ქ. №1-ში მდებარე №01.72.14.038.213 (ფართობი: 989.0 კვ.მ.) და №01.72.14.038.093 (ფართობი: 790.0 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2023 წლის 12 ოქტომბრის №6706317 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (60% საცხოვრებელი). ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა: ერთი - საცხოვრებელი ფუნქციის კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 კვ.მ.
სამსახურის 2023 წლის 03 ნოემბრის №6742116 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ტარიელის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა N35-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.305.001) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძნებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 06 ნოემბრიდან 2025 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში არასწორად არის მითითებული საპროექტო ობიექტის მისამართი და საკადასტრო კოდი.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, 2023 წლის 25 ოქტომბერს NAR1996643 განცხადებით სამსახურს მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა, ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ტარიელის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა N35-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული (ს/კ: №01.72.14.305.001) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე (2023 წლის 03 ნოემბრის №6742116 ბრძანება) მშენებლობის ნებართვის გაცემა, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებით, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტის მისამართი და საკადასტრო კოდი არასწორად დაფიქსირდა. გარდა ამისა, სამსახურმა დაადგინა რომ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის ფუნქციაც არასწორად არის მითითებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. გაიცეს ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ტარიელის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა N35-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.305.001) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 06 ნოემბრის №6744638 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge